ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4538465

ნომერი: AR1685766

თარიღი : 04.06.2019

გაცემის თარიღი : 10.06.2019

გაცნობის თარიღი : 10.06.2019

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ჭყონდიდელი , N 26;

დამკვეთი-განმცხადებელი
- თამაზი მურვანიძე პ/ნ 01015021376
- თბილისი ნ.სულხანიშვილის II შეს. N 8

ორგანიზაცია:
- არქიკოლეგიუმი კოდი: 405004043

ნომენკლატურა :
- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

ვინაიდან აღნიშნულ ფასადზე 07.05.2014 წლის №1258036 გადაწყვეტილებით, შეთანხმებული სამუშაები დარღვევითაა ნაწარმოები, საჭიროა საკითხი დააყენოთ არა რეკონსტრუქციით არამედ 07.05.2014 წლის №1258036 კორექტირების კუთხით.
აქვე გაითვალისწინეთ, რომ ვინაიდან საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრებში შენობები ერთმანეთთან მჭირდროდაა განთავსებული, ფოტომონტაჟის მიხედვით ზოგიერთი ღიობით ირღვევა წარმოსახვითი მიჯნის ზონა, შესაბამისად სამსახურს მიზანშეწონილად არ მიაჩნია შენობის სამივე მხარეს ღიობების მოწყობა. შესაძლებელია საპროექტო ღიობები მოეწყოს ე.ბეჟანიშვილის ქუჩის მხარეს განთავსებულ ფასადზე, თუმცა საჭიროა რომ აღნიშნული ფანჯრები მოეწყოს ერთიანი პროექტის საფუძველზე, მათი არქიტექტურულ-მხატვრული მხარის ფასადთან ერთად ერთიან სისტემაში გადაწყვეტით.
ზემოაღიშნულის გათვალიწინებით სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი 2019 წლის 04 ივნისის AR1685766 განცხადება

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.